

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი ინფორმაცია

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“, ყოფილი სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“ (შემდგომში - კომპანია) დარეგისტრირებულია 2007 წლის 4 ნოემბერს თბილისის ძველი თბილისის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ. №32ა, სადარბაზო I, სართული 2, კომერციული ფართი №8. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 204540274.

როგორც ეს აღწერილია შენიშვნა №34-ში, 2018 წლის 23 თებერვალს კომპანიამ განახორციელა რებრენდინგი. ამის შედეგად შეიცვალა იურიდიული სახელწოდება და ეწოდა სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“.

კომპანია ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისათვის.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს ყველა ტიპის სადაზღვევო საქმიანობა.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში. კომპანიას ასევე აქვს ორი სერვისცენტრი ბათუმში და ფოთში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენდა 6 048 764 ლარს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი იყო MERCURY EUROPE HOLDINGS (ს.წ. B 165504, მისამართი: ემილი როიტერის გამზირი #11, L-2420, ლუქსემბურგი) რომელიც ფლობდა კომპანიის აქციების 100%-ს.

2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის ალია ბაბაევა (აზერბაიჯანი), რომელსაც აქვს იმის შესაძლებლობა/მაღაუფლება, რომ კომპანიის გარიგებები წარმართოს საკუთარი შეხედულებისამებრ და სარგებლის მიღების მიზნით. მას ასევე გააჩნია მთელი რიგი ბიზნეს-ინტერესები კომპანიის გარეთ.

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან გაცხადებულია განმარტებით შენიშვნაში №32.

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. საკანონმდებლო ცვლილებები ხშირია.

3. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, რომლებიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

ხელმძღვანელობას არ გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი მსჯელობა გარდა შეფასებების კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდათ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე აღიარებულ თანხებზე.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებში არსებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ ისინი წარმოქმნიან არსებით ცვლილებებს მომავალი წლის განმავლობაში, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

1. სადაზღვევო ზარალის რეზერვები - შენიშვნა №15
2. სადაზღვევო რისკების მართვა - შენიშვნა №30

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

სავალუტო მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 აშშ დოლარი=2.6468 ლარი;

1 ევრო =2.7940 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 აშშ დოლარი=2.5922 ლარი;

1 ევრო =3.1044 ლარი.

ბ) სადაზღვევო კონტრაქტები

ის კონტრაქტები, რომელთა საფუძველზეც კომპანია მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს იღებს მეორე მხარისგან და აცხადებს თანხმობას მოახდინოს „დაზღვეულის“ ან სხვა ბენეფიციარის ანაზღაურება, თუ ადგილი ექნება კონტრაქტში მითითებულ გაურკვეველ მომავალ მოვლენას („სადაზღვევო შემთხვევა“), რომელიც ნეგატიურად იმოქმედებს „დაზღვეულოზე“ ან სხვა ბენეფიციარზე, კლასიფიცირდებიან როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

ფინანსური საგარანტიო კონტრაქტები აღრიცხულია როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

კონტრაქტების აღიარება და შეფასება

სადაზღვევო პრემიები

ბრუტო მოზიდული პრემია მოიცავს წლის განმავლობაში გამოწერილ პრემიებს, იმის მიუხედავად, მთლიანად შეესაბამებიან ისინი ბოლო საანგარიშო პერიოდს თუ ნაწილობრივ. პრემიები ნაჩვენებია შუამავლებისთვის გადასახდელი საკომისიოების ჩათვლით. პრემიის გამომუშავებული ნაწილი აღიარებულია შემოსავლად. პრემიები გამომუშავდება ყოველდღიურად, პოლისის ძალაში შესვლიდან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში. გადაზღვევის პრემია აღიარებულია ხარჯად ასევე ყოველდღიურ საფუძველზე. გადაზღვევის პრემიის ის ნაწილი, რომელიც არ არის აღიარებული ხარჯად, აღიქმება წინასწარ გაწეულ ხარჯად.

პოლისის გაუქმება

პოლისები უქმდება, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სადაზღვევო პოლისის მფლობელს არ სურს ან არ შეუძლია პოლისით გათვალისწინებული პრემიის გადახდების შემდგომი წარმოება (გაგრძელება). აქედან გამომდინარე, გაუქმება, უმეტესწილად, გავლენას ახდენს იმ პოლისებზე, რომლებთან მიმართებაშიც პრემიის გადახდა ხდება შენატანების სახით პოლისის მოქმედების ვადის განმავლობაში.

გამომუშავებული პრემიის რეზერვი

გამომუშავებული პრემიის რეზერვი მოიცავს ბრუტო მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოსალოდნელია გამომუშავდეს მომდევნო წლების განმავლობაში. იგი გამოთვლილია ცალ-ცალკე ყოველ სადაზღვევო კონტრაქტზე დღიურად.

სადაზღვევო ზარალები

ნეტო დამდგარი ზარალები მოიცავს საანგარიშგებო წლის განმავლობაში ანაზღაურებულ ზარალებს, ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის ცვლილებასთან ერთად. ასანაზღაურებელი ზარალები მოიცავს საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის მიერ მომხდარი და განუცხადებელი ზარალების საბოლოო შეფასებულ ღირებულებას, ასევე მომხდარი და განუცხადებელი ზარალების საბოლოო ღირებულებას, ზარალების დარეგულირების ანარიცხების ჩათვლით.

ასანაზღაურებელი ზარალები ფასდება ინდივიდუალური ზარალების განხილვის და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვების გათვლებით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე განჭვრეტადი მოვლენები, ისეთი როგორიცაა ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების ცვლილებები და წარსული გამოცდილებები. ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის დისკონტირება არ ხდება. წინა წლებში დადგენილი გადაზღვევის და რეგრესების მისაღები თანხები აღიარებულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში, ცალკე როგორც აქტივი. გადაზღვევის და რეგრესების ამოღება დგინდება იმავენაირად, როგორც ასანაზღაურებელი ზარალები.

წინა წელს დარეზერვებული ზარალების ოდენობების კორექტირებები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდით, როცა კორექტირება არის გაკეთებული და მატერიალურობის შემთხვევაში - ცალკეა განმარტებული. გამოყენებული მეთოდების და გათვლების გადახედვა ხდება რეგულარულად.

გადაზღვევა

კომპანია გადაზღვევას ახორციელებს საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში, მისი პოტენციური წმინდა ზარალის ლიმიტირების მიზნით გადამზღვევებისთვის რისკის ნაწილობრივ გადაცემით. გადამზღვევის ვალდებულება „კომპანიას“ არ ათავისუფლებს თავისი პირდაპირი ვალდებულებებისგან დაზღვეულთა წინაშე. გადამზღვევის წილი პრემიებში და ანაზღაურებებში წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ბრუტო საფუძველზე. გადაზღვევის აქტივები მოიცავს მოთხოვნებს გადამზღვეველი კომპანიებიდან გადაზღვეულ სადაზღვევო ვალდებულებებზე. გადაზღვევიდან ამოსაღები თანხების შეფასება შეესაბამება გადაზღვევის პოლიტიკასთან ასოცირებულ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვსა და დარეგულირებულ ზარალებს.

გადაზღვევის მიღებული პრემია აღირიცხება მოზიდული პრემიის ანალოგიურად სადაზღვევო პროდუქტის და სახეობის გათვალისწინებით. თანხები, რომლებიც ანაზღაურდება გადაზღვევის კონტრაქტების საფუძველზე, ფასდება იან გაუფასურებაზე

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების შედეგის თარიღისთვის. ამგვარი აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, თუ არსებობს ობიექტური მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველადი აღიარების შემდეგ წარმოშობილი შემთხვევის შედეგად, კომპანიას შეიძლება არ აუნაზღაურდეს ყველა თანხა, რომელიც მის წინაშე მართებთ და როცა შემთხვევას აქვს შეფასებადი გავლენა იმ თანხებზე, რომლებსაც კომპანია გადამზღვეველისგან მიიღებს. გადაზღვევის აქტივებად აღირიცხება მხოლოდ ის კონტრაქტები, რომლებიც ითვალისწინებენ სადაზღვევო რისკის გადაცემას. ის კონტრაქტები, რომლებიც არ ითვალისწინებენ არსებითი სადაზღვევო რისკის გადაცემას, აღირიცხება ფინანსური ინსტრუმენტების სახით.

გადავადებული აკვიზიციური ხარჯი

ფინანსური პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო აგენტებთან და ბროკერებთან გაწეული საკომისიო და სხვა დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან ან განახლებასთან, გადავადდება მომავალ პერიოდებზე, თუკი ეს ხარჯები დაკავშირებულია მომავალში გამომუშავებულ პრემიებთან. ყველა სხვა აკვიზიციური ხარჯი აღიარდება ხარჯად წარმოშობისთანავე. პირველადი აღიარების შემდეგ, გადავადებული აკვიზიციური ხარჯები ძირითადი სადაზღვევო და სამედიცინო პროდუქტებისთვის, ამორტიზდება იმ პერიოდებზე, რომლებშიც გამომუშავდება დაკავშირებული შემოსავლები.

ვალდებულებების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საბალანსო თარიღისთვის, ტარდება ვალდებულებების ადეკვატურობის შემოწმება, გადავადებული აკვიზიციური ხარჯის აქტივების გამოკლებით გამომუშავებული პრემიების საკმარისობის უზრუნველსაყოფად, მმართველობის ქვეშ არსებული საქმიანობების თითოეული მიმართულებისთვის. შემოწმებისას გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალების მართვის, პოლისის ადმინისტრირებისა და მათ უზრუნველსაყოფად გაწეული საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა დანაკლისი შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯი და შესაბამისი არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება და, საჭიროების შემთხვევაში შეიქმნება დამატებითი რეზერვი (ამოუწურავი რისკების რეზერვი). ამ განსხვავების აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სადაზღვევო მოთხოვნები და ვალდებულებები

სადაზღვევო მოთხოვნები დამზღვევისგან, მოთხოვნები და ვალდებულებები აგენტებსა და გადამზღვევლებთან წარმოადგენენ ფინანსურ ინსტრუმენტს და აღირიცხებიან სადაზღვევო მოთხოვნებსა და ვალდებულებებში. კომპანია რეგულარულად ახდენს სადაზღვევო მოთხოვნების გადახედვას გაუფასურების შესაფასებლად.

გ) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

სადაზღვევო ხელშეკრულებები/პოლისები განისაზღვრება როგორც ხელშეკრულებები/პოლისები, რომლებიც მოიცავენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს ხელშეკრულების/პოლისის ამოქმედების მომენტიდან, ან ხელშეკრულების/პოლისის ამოქმედების მომენტში სადაზღვევო რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. სადაზღვევო რისკი დამოკიდებულია დაზღვეული შემთხვევის ალბათობაზე და მისი სამომავლო შედეგის მოცულობაზე. მას შემდეგ რაც ხელშეკრულება აღიარდება სადაზღვევო ხელშეკრულებად, ის განიხილება სადაზღვევო ხელშეკრულებად მისი დარჩენილი მოქმედების პერიოდის განმავლობაში (თუკი არ მოხდება მისი გაუქმება/ანულირება), იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო რისკი მკვეთრად შემცირდება.

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს სხვადასხვა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების/პოლისების გაყიდვით. კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან/პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს გამომუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისისა თუ საბანკო გარანტიის მოქმედება. პოლისის და საბანკო გარანტიის გაცემისთანავე კომპანია სადაზღვევო პრემიის (საბანკო გარანტიის საზღაურის) სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდგომ ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეებზე).

საპროცენტო შემოსავალი და მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

კომპანიის საპროცენტო შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც შემოსავალი ან ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

გადავადებული შემოსავალი

კომპანია ახდენს მომავალი პერიოდების შემოსავლების გადავადებას და ასახავს მათ ბალანსში (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში). სადაზღვევო პრემიების ის ნაწილი, რომელიც შემდგომ პერიოდებს განეკუთვნება, გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმგვარად, რომ ამონაგები აღიარებულია რისკის პერიოდში, ან მოსალოდნელი სამომავლო სარგებლის პროპორციულად.

დ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ

ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

სხვა არასადაზღვევო ხარჯები

კომპანია აღიარებს სხვა არასადაზღვევო მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

ე) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს წარმოადგენს ნაღდი ფული სალაროში, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ზ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება

ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

თუ გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში შესული არაწარმოებული ფინანსური აქტივი აღარ არის უახლოეს მომავალში გასაყიდად გამიზნული, შესაძლებელია მისი რეკლასიფიკაცია სამართლიანი ღირებულებიდან მოგების ან ზარალის მეშვეობით, შემდეგ შემთხვევებში:

- ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის გასვლამდე;
- იშვიათ შემთხვევებში, სხვა ფინანსური აქტივები შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას გასაყიდად არსებულ ან დაფარვის ვადამდე შენარჩუნებულ კატეგორიებზე;

გასაყიდად არსებულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას სესხებსა და მისაღებ ანგარიშებზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის დადგომამდე;

ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით რეკლასიფიკაციის თარიღისათვის. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ადრე აღიარებული მოგების ან ზარალის რეკლასიფიკაცია არ ხდება. ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის წარმოადგენს მის ახალ ღირებულებას ან ამორტიზებულ ღირებულებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ არსებობს რამე შემთხვევის ან შემთხვევების შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

თ) გადახდილი ავანსები

საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების აღიარება თავდაპირველად ხდება გადახდილი თანხებით და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირებულია შესაძლო გაუფასურებით. ავანსები მიიჩნევა გაუფასურებულად, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სრულად მიიღოს ის საქონელი ან მომსახურება რაც განსაზღვრულია მომწოდებლებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით.

მიმდინარე აქტივებისათვის და მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე მოკლევადიანი საოპერაციო ხარჯებია, კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. ყველა სხვა ავანსი, მაგალითად გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი და წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის განყოფილებაში.

ი) მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები აღიარდება სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის/გადაზღვევის კონტრაქტების პირობებზე დაყრდნობით და განისაზღვრება სახელშეკრულებო/საკონტრაქტო თანხით (ღირებულებით). სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გაუფასურებასთან მიმართებაში გადახედვა ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები და გარემოებები მიანიშნებენ იმას, რომ შესაძლებელია ვერ მოხერხდეს საბალანსო ღირებულების აღდგენა. გაუფასურების ზარალი აღიარდება კომპანიის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გადაზღვევის მოთხოვნები მოიცავს გადაცემულ სადაზღვევო ვალდებულებებისათვის სადაზღვევო და გადამზღვევი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს. ნაკისრი გადაზღვევის პრემიების აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც პირდაპირ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა. გადამზღვევლისთვის გადახდილი თანხები აღიარდება გადაზღვევის კონტრაქტების მიხედვით.

გაუფასურების ანალიზი ხორციელდება ყველა გადაზღვეულ აქტივზე, როდესაც ჩნდება გაუფასურების საშიშროება. გადაზღვევის მოთხოვნების გაუფასურება ხდება მაშინ, თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ მიიღოს მისთვის გადასახდელი ყველა თანხა გადაზღვევის კონტრაქტის პირობების შესაბამისად და ამის შეფასება სანდოდ არის შესაძლებელი. სხვა მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა სხვა დანარჩენ მიმდინარე მოთხოვნებს არასადაზღვევო მოთხოვნების, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა. სადაზღვევო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი (არსებობის შემთხვევაში).

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი (არსებობის შემთხვევაში).

კომპანია აღრიცხავს ძირითადი საშუალებებს ცვეთას და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

ავტოტრანსპორტი – 5 წელი;

კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები – 4-5 წელი;

ავეჯი და სხვა მოწყობილობები – 10 წელი;

არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის - 7 წელი.

არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის მენეჯმენტის განსაზღვრული მიზნებისთვის. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში ხორციელდება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ

მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების გადაფასების ნებისმიერი მეტობა ემატება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ახდენს იმ აქტივის გადაფასების კლების უკუქცევას, რომელიც უწინ აღიარებული იყო მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ამ შემთხვევაში, ზრდა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის მეტობას, ბათილდება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობით.

ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ასახვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილ ცვეთასა და თავდაპირველ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. ამასთან, გადაფასების დღისთვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში და გადაფასებული აქტივი ხელახლა აისახება წმინდა ღირებულებით. გადაცემისას, კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

ლ) სადაზღვევო ვალდებულებები

ზოგადი სადაზღვევო ვალდებულებები მოიცავს დასაფარი მოთხოვნების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. ზოგადი სახელშეკრულებო/საკონტრაქტო

ვალდებულებები ეფუძნება ყველა იმ მოთხოვნის განსაზღვრულ საბოლოო ღირებულებას, რომლებიც წარმოშობილ იქნა, მაგრამ არ იქნა დაკმაყოფილებული საანგარიშგებო თარიღისათვის, იმისდა მიუხედავად, მოხდა თუ არა მათი გაცხადება. ამას ემატება მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხარჯები.

ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას. რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განიხილავს მის მიმდინარე რისკს და ვალდებულების ადეკვატურობის ტესტით განსაზღვრავს მოსალოდნელი მოთხოვნების და გადავადებული შესყიდვის ხარჯების მეტობას გამოუმუშავებელ პრემიასთან მიმართებაში.

მ) სადაზღვევო რეზერვები

სადაზღვევო რეზერვების ფორმირების წესს არეგულირებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას გააჩნდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამივე რეზერვი: გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

კომპანიის განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი შედგება ორი ნაწილისგან: რეზერვის ის ნაწილი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიაში შემოვიდა საბუთის (ინვოისის) საფუძველზე; რეზერვის ის ნაწილი, რომლის ოდენობა არ არის დადასტურებული საგადასახადო საბუთით, მაგრამ რომლის ოდენობის სანდო შეფასება შესაძლებელია. დაშვებები, რომლებსაც იყენებენ სადაზღვევო აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად, გამიზნულია რეზერვების საკმარისი რაოდენობის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი ვალდებულების დაფარვის მიზნით, რომლებიც წარმოიშვება სადაზღვევო კონტრაქტებიდან გონივრული გათვალისწინების ფარგლებში. თუმცა, სავარაუდოა, რომ საბოლოო შედეგი იყოს განსხვავებული თავდაპირველად დადგენილი რეზერვის ოდენობისგან, იქიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელია საბოლოო სადაზღვევო რეზერვების საკმარისი სიზუსტით განსაზღვრა. რეზერვები იქმნება საანგარიშგებო თარიღისთვის და განისაზღვრება საანგარიშო თარიღისთვის მომხდარი (მიუხედავად იმისა გაცხადებულია თუ არა) ზარალების ოდენობით, ზარალების დაურეგულირებლის ხარჯის ჩათვლით და უკვე ანაზღაურებული ზარალების გამოკლებით. ზარალების რეზერვების დისკონტირება არ ხორციელდება.

ნ) გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯებს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

კომპანიის მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საგადასახადო მოგების და მოქმედი გადასახადის განაკვეთის გამოყენებით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ მოგების გადასახადის დაბეგვრის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ სახელით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე). კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან (შენიშვნა: გამოცხადებული საკანონმდებლო ინიციატივით, იგეგმება ამ ვადის გადაწევა 2023 წლის 1 იანვრამდე).

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის. გადავადებული გადასახადები გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთების გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებს ან იმოქმედებს იმ პერიოდში, როდესაც კომპანიას დაუდგება გადავადებული საგადასახადო აქტივის (ვალდებულების) გამოყენების დრო. ამის გარდა, თუ იარსებებს, რამე სარგებელი კომპანიის საგადასახადო ზარალებიდან, რომელთა გადატანა შესაძლებელია მომავალ პერიოდებზე, ეს სარგებელი (გადავადებული აქტივი) ასევე ჩაირთვება გადავადებული გადასახადების კალკულაციებში. გადავადებული საგადასახადო აქტივის დათვლა არ ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ცნობილია რომ მისგან სარგებლის მიღება ვერ მოხერხდება.

2008 წლიდან, საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენს.

ო) ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური

ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შემდგომი დაგეგმვით აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული:

– **ფასს 9:** „ფინანსური ინსტრუმენტები“; ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის **ბასს 39** „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ სახელმძღვანელო მითითებებს და ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას, ფინანსური აქტივების გაუფასურების გაანგარიშებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალი მოდელის და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგად მოთხოვნების ჩათვლით. მას ასევე გადმოაქვს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტის სახელმძღვანელო მითითებები **ბასს 39**-დან. კომპანია აფასებს პოტენციურ ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ ამას არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

– **ფასს 15:** „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“; ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის შემოსავლების აღიარების არსებულ სახელმძღვანელო მითითებას, მათ შორის **ბასს 18** „ამონაგები“, **ბასს 11** „სამშენებლო ხელშეკრულებები“ და **ფასიკ 13** „მომხმარებლებთან წახალისების პროგრამები“ და ადგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს იმის განსაზღვრად, თუ რამდენად, რა რაოდენობით და როდის ხდება შემოსავლის აღიარება ხუთეტაპიანი მოდელის შემოღებით. წინასწარი შეფასებების საფუძველზე ამ შესწორებების და ინტერპრეტაციების მიღებას, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე თუ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.

– **ფასს 16:** „იჯარა“; ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. ახალი სტანდარტი ცვლის **ბასს 17** „იჯარა“ და მნიშვნელოვანი შესწორებები შეაქვს პირების მიერ იჯარის ანგარიშგების წესში, რომელიც მოითხოვს მოიჯარისგან, აღიაროს გამოყენების უფლებით აქტივი და საიჯარო ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებული საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, მის ბალანსზე. სახელმძღვანელო მითითება ასევე აფართოებს საჭირო რაოდენობრივ და ხარისხობრივ გამჟღავნებას იჯარის შესახებ. ეს გამოიწვევს იჯარების უმეტესობის აღრიცხვას ბალანსზე, რომელიც აღიარებს აქტივის გამოყენების უფლების ახალ კატეგორიას და პასუხისმგებლობას სამომავლო იჯარის გადასახადების დისკონტირების საფუძველზე. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ამ სტანდარტს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ფინანსური ანგარიშგების მუხლის რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებები

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბანკში განთავსებული თანხები შეზღუდული გამოყენების უფლებით, რომლებიც წინა წლებში წარმოდგენილი იყო ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების მუხლში, წარმოდგენა განცალკევებული მუხლის სახით. აღნიშნული შესწორებულ იქნა თითოეული შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მუხლის შესწორებით წინა პერიოდში. შემდეგი ცხრილი აჯამებს, აღნიშნული ცვლილების გავლენას ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლზე:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით	რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
31.12.2016			
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,670,690	(3,002,619)	668,071
დეპოზიტები	-	3,002,619	3,002,619

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2017 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	12,484	7,930
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	266,868	660,140
	279,351	668,071

7. თანხები ვადიან საბანკო დეპოზიტებზე

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2017 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)
სს ტერა ბანკი (ყოფილი სს კორ სტანდარტ ბანკი)	-	1,410,220
სს თიბისი ბანკი	1,000,000	-
სს ხალიკ ბანკი	929,220	529,360
სს იშ ბანკი	863,466	846,976
სს საქართველოს ბანკი	684,499	216,063
	3,477,185	3,002,619

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით სავალდებულოა:

1. ლიცენზიის მამიებელ კომპანიას წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან და მზღვეველს სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში) გახსნილ ანგარიშებზე მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით.
2. პ) ფული სალაროში, საბანკო დაწესებულებებში გახსნილ მიმდინარე და მოთხოვნამდე სადეპოზიტო ანგარიშებზე (A12); აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული სადაზღვევო რეზერვების ინვესტიცია უნდა შეადგენდეს

„ინვესტირებისათვის განკუთვნილი სადაზღვევო რეზერვების ოდენობის“ არანაკლებ 10%-ს. ამასთან, თითოეულ ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს „ინვესტირებისათვის განკუთვნილი სადაზღვევო რეზერვების ოდენობის“ 20%-ს, ხოლო სალაროში განთავსებული ფულადი სახსრების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს „ინვესტირებისათვის განკუთვნილი სადაზღვევო რეზერვების ოდენობის“ 3%-ს, მაგრამ არაუმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარს.

8. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება:

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2017 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)
ავტომობილების დაზღვევა	648,221	708,764
ქონების დაზღვევა	179,176	102,093
ჯანმრთელობის დაზღვევა	1,158,818	782,903
საავიაციო დაზღვევა	7,196	7,348
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	60,787	44,967
ტვირთების დაზღვევა	44,759	16,824
სამოგზაურო დაზღვევა	3,792	7,438
კონტეინერების დაზღვევა	64,339	70,003
პასუხისმგებლობის დაზღვევა	136,705	159,638
	2,303,793	1,899,977

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2017 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)
სადაზღვევო მოთხოვნები	2,303,793	1,899,977
სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(119,575)	(90,304)
	2,184,219	1,809,674

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია სადაზღვევო მოთხოვნები ვადაგადაცილებების მიხედვით:

	ბრუტო 31.12.2017	გაუფასურება 31.12.2017
არა ვადაგადაცილებული	2,140,525	21,405
ვადაგადაცილებული: 0-30 დღე	27,885	1,394
ვადაგადაცილებული: 31-60 დღე	17,429	2,614
ვადაგადაცილებული: 61-90 დღე	13,063	3,919
ვადაგადაცილებული: 91-120 დღე	9,318	4,659
ვადაგადაცილებული: 121-360 დღე	48,581	38,864
მიერ ამგვარი კანონმდებლობის განმარტებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში, შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და შეფასებებისას და ამის გამო, შესაძლოა ის ოპერაციები და საქმიანობები, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, სადავო გახდეს მომავალში. ამ სახით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და საურავებს. არაპრაქტიკულია გაუცხადებელი მოთხოვნების ოდენობის განსაზღვრა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს მომავალში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნებისმიერი არახელსაყრელი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. ფისკალური პერიოდები ღია რჩება შესაბამისი ორგანოების მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის სამი კალენდარული წლის განმავლობაში, შემოწმების წლამდე. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო ხანგრძლივი პერიოდებიც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის

მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

34. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2018 წლის 23 თებერვალს კომპანიამ განახორციელა რებრენდინგი. ამის შედეგად შეიცვალა მისი იურიდიული სახელწოდება და დაერქვა სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“.

2018 წლის პირველი მარტიდან ქვეყანაში შემოდებულ იქნა არარეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა.

მმართველობითი ანგარიშგება

2017 წელი

შინაარსი

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა	3
მომსახურებები, პროდუქტები და პორტფელი	5
მომხმარებელთა უფლებების დაცვა	7
ფინანსური მაჩვენებლები	8
ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები	12
განვითარების გეგმები	14

1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი, ყოფილი სს სტანდარტ დაზღვევა საქართველო (შემდგომში - კომპანია) დარეგისტრირებულია 2007 წლის 4 ნოემბერს თბილისის ძველი თბილისის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ. №32ა, სადარბაზო I, სართული 2, კომერციული ფართი №8. საიდენტიფიკაციო № 204540274.

2018 წლის თებერვალში კომპანიამ განახორციელა რეგრენდინგი. ამის შედეგად შეიცვალა იურიდიული სახელწოდება და გახდა სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი.

კომპანია ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისათვის.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს ყველა ტიპის სადაზღვევო საქმიანობა.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში. კომპანიის ასევე აქვს ორი სერვისცენტრი ბათუმში და ფოთში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენდა 6 048 764 ლარს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი იყო MERCURY EUROPE HOLDINGS (ს.ნ. B 165504, მისამართი: ემილი როიტერის გამზირი #11, L-2420, ლუქსემბურგი) რომელიც ფლობდა კომპანიის აქციების 100%-ს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი (ბენეფიციარი მესაკუთრე) არის ალია ბაბაევა (აზერბაიჯანი).

ორგანიზაციის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორები.

შპს ს სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

1. რამზი აკპეროვ (71 4956919, რუსეთი) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
2. ანარ აბბასოვ (P3703179, აზერბაიჯანი) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ართოდრულ გაფაროვ (C00348322, აზერბაიჯანი) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

კომპანიის დირექტორები არიან:

1. ნიჯატ ჰუსეინოვ (P4462822, C01407562, აზერბაიჯანი)- გენერალური დირექტორი;
2. მარეხი გურული (20001002523, საქართველო) - ფინანსური დირექტორი;
3. ირაკლი ბერუჩაშვილი (01030033861, საქართველო) - გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი

2017 წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო 88 ადამიანი. დასაქმებულთა რაოდენობა მუდმივად მზარდია.

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. კომპანიაში დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება მომხმარებლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვასა და კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაში.

2. მომსახურებები, პროდუქტები და პორტფელი

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმის სათაო ოფისი მდებარეობს მის იურიდიულ მისამართზე. კომპანიას აქვს ორი სერვის ცენტრში ბათუმსა და ფოთში, სადაც


მომხმარებელს სთავაზობენ სრულად იმ სერვისს, რისი მიწოდებაც ხდება სათაო ოფისში.

სერვის ცენტრების გახსნის მიზანი იყო კომპანიის საქმიანობის სფეროების გაფართოება და ახალი ბაზრების ათვისება ისეთი მნიშვნელობის ქალაქებში, როგორიც არის ბათუმი და ფოთი, რომელთაგან ფოთს აქვს დიდი რესურსი გადამზიდველების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის მიმართულებით.


ბათუმი თავისი განვითარების და სტრატეგიული მნიშვნელობის მასშტაბებიდან გამომდინარე მიმზიდველია სადაზღვევო საქმიანობისთვის - სამშენებლო რისკების, ქონების და დაზღვევის სხვა სახეობების მიმართულებით.

კომპანია საქმიანობს დაზღვევის ყველა სახეობაში, რომელიც პირობითად ერთიანდება ქონების, პასუხისმგებლობის და პირადი სახეობების ქვეშ, თუმცა სახეობები ძალიან მრავალფეროვანია. მოცემულია ძირითადი სახეობების მიხედვით დაჯგუფებული მოზიდული სადაზღვევო პრემიის (პორტფელის) შესახებ ინფორმაცია წლების მიხედვით:

დიაგრამაზე მოცემულია 2012-2017 წლებში სახეობების მიხედვით მოზიდული პრემიის ხვედრითი წილი პორტფელში:



დიაგრამაზე მოცემულია წლების მიხედვით კომპანიის მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემია:



ცხრილის სახით მოცემულია ბოლო სამი წლის განმავლობაში მოზიდული სადაზღვევო პრემიები სახეობების მიხედვით:

მოზიდული სადაზღვევო პრემია			
სახეობა	2015	2016	2017
ავტო დაზღვევა	1 325 206	1 526 971	1 574 185
ქონების დაზღვევა	478 320	504 998	798 208
პასუხიმგებლობის დაზღვევა	538 824	625 022	511 334
სამოგზაურო დაზღვევა	28 589	30 342	21 098
სამედიცინო დაზღვევა	1 938 195	2 427 802	1 909 770
ტვირთების დაზღვევა	73 049	81 757	97 641
ფინანსური რისკების დაზღვევა	134 470	86 346	126 458
საავიაციო რისკების დაზღვევა		123 131	83 643
ჯამი	4 516 652	5 406 368	5 122 337

3. მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ამ მიმართულებით მუშაობა მნიშვნელოვნად არის გაფართოებული, რაც ხდის ამ ნაწილის ცალკე გამოყოფის აუცილებლობას. კომპანიას ჰქონდა შიდა დებულებები მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, თუმცა ბოლო პერიოდში საზედამხებდველო სამსახურის მიერ ამ კუთხით რეგულაციების და

მოთხოვნების დაწესებამ კიდევ უფრო გაააქტიურა აღნიშნული მიმართულებით მუშაობა.

კომპანიამ შეიმუშავა სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებლის უფლებების დაცვის კონცეპცია, რაც მოიცავს:

- კომპანიის ვალდებულება სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე
- კომპანიის ვალდებულებას დაზღვევის ხელშეკრულების დადების/სადაზღვეო პოლისის გაცემის ეტაპზე
- კომპანიის ვალდებულება ს დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ მომხმარებლებთან ურთიერთობის ეთიკის ნორმებს
- კომპანიის ვალდებულებებს მომხმარებლების პრეტენზიების განხილვასა და აღრიცხვასთან დაკავშირებით

კომპანიამ აღნიშნული მიმართულებით მუშაობისთვის გამოყო სპეციალური პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომელიც განიხილავს კომპანიაში შემოსულ პრეტენზიებს და შესაბამის რეაგირებას ახდენს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომპანია მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ანგარიშვალდებულია საზედამხედველო სამსახურთან.

4. ფინანსური მაჩვენებლები

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიამ მოამზადა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.

მომზადებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტის დასკვნის თანახმად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანია სტაბილურად ვითარდება. მისი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	2017	2016	2015
მოზიდული სადაზღვევო პრემია	5 122 337	5 406 368	4 516 652
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(443 514)	145 225	(264 841)
გადაზღვევის ხარჯები	(509 878)	(947 731)	(945 001)
გამომუშავებული ნეტო სადაზღვევო პრემია	4 168 945	4 603 863	3 306 810
ზარალის ანაზღაურების ხარჯები	(2 513 505)	(3 004 542)	(2 575 529)
აგენტების და ბროკერის საკომისიო	(334 457)	(425 600)	(254 715)
შემოსავალი გადაზღვევიდან მიღებულ ზარალის ანაზღაურებაზე	82 050	104 268	96 557
შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან	9 270	165 092	171 099
სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან	251 964	344 821	554 138
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	(117 958)	(202 517)	(303 738)
ცვლილება მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვში	3 881	(60 892)	5 889
ცვლილება განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი	-	-	-
მოგება/(ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან	1 550 191	1 524 493	1 000 511
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 861 568)	(1 483 266)	(1 467 734)
სულ საოპერაციო მოგება:	(311 377)	41 228	(467 222)
საპროცენტო შემოსავალი	129 418	94 571	118 183
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	30 332	218 454	-
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	102 331	(20 016)	435 105
მოგება დაბეგვრამდე	(49 296)	334 237	86 065
მოგების გადასახადი	82 207	45 177	35 741
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(131 503)	289 060	50 324

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.	31 დეკემბერი, 2015 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	279 351	668 071	3 093 181
თანხები ვადიან საბანკო დეპოზიტებზე	3 477 185	3 002 619	
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	2 184 219	1 809 674	1 767 753
მოთხოვნები გადაზღვევიდან	122 291	501 175	1 728 397
მარაგები	40 524	92 047	72 624
წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი	304 945	304 608	551 869
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები	33 819	21 482	5 073
სხვა მიმდინარე აქტივები	480 947	414 157	435 072
ძირითადი საშუალებები	179 507	81 294	110 494
არამატერიალური აქტივები	98 177	41 227	8 324
სხვა ინვესტიციები	24 035	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	51 431	133 638	178 815
აქტივები სულ:	7 276 432	7 069 993	7 951 601
ვალდებულებები			
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი	512 050	514 330	472 462
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	174 780	178 661	117 769
ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ	253 627	1 084 161	2 980 143
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	2 505 895	2 062 381	2 207 607
მომავალი პერიოდის მოგება გადაზღვევის საკომისიოდან	2 508	9 195	115 665
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	238 014	233 335	194 719
ვალდებულებები სულ:	3 686 874	4 082 063	6 088 365
სააქციო კაპიტალი	6 048 764	5 315 633	4 480 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	(2 459 207)	(2 327 704)	(2 616 764)
კაპიტალი სულ:	3 589 558	2 987 929	1 863 236
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	7 276 432	7 069 993	7 951 601

როგორც ფინანსური ანგარიშგებებიდან ჩანს, კომპანია სტაბილურად ვითარდება, თუმცა არის საკითხები რაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება:

- გადაზღვევის ხარჯი. კომპანია გადაზღვევის პოლიტიკის გამოყენებით აბალანსებს პორტფელს, თუმცა ანალიზმა აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ავტოდაზღვევის პოლისებით აღებული რისკების გადაზღვევა აზრს მოკლებულია ფინანსური არაეფექტურობის გამო, შესაბამისად, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული რისკები არ იქნას გადაზღვეული, რაც აისახა წინამდებარე ანგარიშგებებში. ამის თანმდევი და განუყოფელია შემოსავლის შემცირება გადაზღვევის საკომისიოდან.

- გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება. ექვსას ათასამდეა შემცირებული UPR, თუმცა მოზიდული პრემია არ არის გაზრდილი. აღნიშნული მიაწინებს იმაზე, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოხდა პრემიის მნიშვნელოვანი ზრდა.

- შემცირებულია აკვიზიზიური ხარჯი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შუამავლის მეშვეობით გაყიდვები ჩაანაცვლა უშუალოდ კომპანიის მიერ გაყიდვებში მონაწილეობამ.

- შემცირებულია გაუფასურების ხარჯი, პოლიტიკის უცვლელობის პირობებში. რაც ცალსახად დებიტორული დავალიანების მართვის ეფექტურობაზე მიაწინებს.

- საპროცენტო შემოსავალი არის გაზრდილი, რისი მიზეზიც საბანკო დეპოზიტის ეროვნულ ვალუტაში განთავსებაა, რომლის სარგებელიც გაცილებით მაღალია.

- მცირედი ცვლილებები არის საბალანსო მუხლებში: გაიზარდა ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები (სადაზღვევო პროგრამა იქნა შეძენილი), განხორციელდა ინვესტიცია (MTPL მართვისთვის კომპანიებმა დააფუძნეს ცენტრი).

- საგრძნობლად არის შემცირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი, ვინაიდან კომპანიის მიერ აკუმულირებული მოგება არ იძლევა დაგროვილი ზარალის გამოქვითვის გონივრულ შესაძლებლობას.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა გადამზღვევის მიმართ დაგროვილი დავალიანების დაფარვა.

5. ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. აგრეთვე არსებობს საკითხები რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებებს განიცდიან, რაც დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

კომპანია ფუნქციონირებს მაღალკონკურენტულ გარემოში, სფერო არის ძალიან სენსიტიური, რაც კომპანიას სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს.

კომპანია მნიშვნელოვნად მიიჩნევს რისკების მართვის სისტემის არსებობას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დაზღვეულთა მაღალხარისხიანი მომსახურება, გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, აქციონერთა სარგებლის გაზრდა, რყევების თავიდან აცილება ან/და მათი მინიმიზება.

კომპანიის ძირითადი რისკი არის სადაზღვევო რისკი. მართალია ზარალების სიხშირე სამედიცინო დაზღვევაში მნიშვნელოვნად დიდია, მაგრამ გასული წლის განმავლობაში კომპანიაში მაღალი იყო ზარალიანობა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაში. აღნიშნულის დასარეგულირებლად და გადახდისუნარიანობის უზურუნველსაყოფად იქმნება რეზერვები და გამოიყენება გადაზღვევის პოლიტიკა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მზღვეველი თავად არის პასუხისმგებელი დამზღვევთან ზარალის ანაზღაურებაზე, გადამზღვევლის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობისას იქმნება საკრედიტო რისკის საფრთხე, რის თავიდან ასაცილებლადაც ხდება სწორედ გადაზღვევის რეიტინგული პარტნიორის შერჩევა.

კომპანია საკუთარი პორტფელის დაბალანსებისა და რისკების მართვისათვის ახორციელებს გადაზღვევას. საკუთარ თავზე დატოვებული რისკის ლიმიტები განსხვავებულია სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით. გადამზღვევის წილი სადაზღვევო რეზერვებსა და ზარალებში წარმოდგენილია განცალკევებულად კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადაზღვევის ნაწილი არის პროპორციული, ნაწილი დეპოზიტური სახის გადაზღვევა. კომპანიას განხორციელებული აქვს ფრონტინგი (საავიაციო რისკების დაზღვევის სახეობაში.) კომპანიის ძირითადი გადამზღვეველი არის გადამზღვეველი კომპანია SCOR Perestrakhovaniye L.L.C, Ingostrakh insurance company, Azre Reinsurance OJSC, Polish Reinsurance Company თუმცა კომპანია ბროკერების მეშვეობითაც თანამშრომლობს სხვა, მაღალი რეიტინგის მქონე გადამზღვეველებთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბანკო დეპოზიტები - აღნიშნულის მინიმუმებისთვის, ხდება დივერსიფიკაცია, რისი ვალდებულებაც კომპანიას აქვს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მარეგულირებელი წესითაც;
- მოთხოვნები გადაზღვევიდან - მისი შემცირებისთვის, ირჩევა მაღალრეიტინგული კომპანია, ასევე დიდი რისკები გადამზღვევლებთან დივერსიფიცირებულია;

6. განვითარების გეგმები

კომპანია წლების განმავლობაში სტაბილურად ვითარდება და აპირებს მომავალში საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებას. არ მიმართავს აგრესიულ პოლიტიკას.

მწვენილოვანი მოვლენა, რომელის განხორციელდა ეს არის მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღება მესამე პირის წინაშე, რომელიც მიღებულ იქნა 2017 წელს და ძალაში შევიდა 2018 წლის 1 მარტიდან.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პროცესი, რომელიც დაიწყო 2017 წელს - საზღვარზე შემომსვლელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო წესით (MTPL).

აღნიშნული ღონისძიებები ერთი მხრივ განავითარებს ბაზარს, ხოლო მეორეს მხრივ დაიცავს საზოგადოების ქონებრივ და სოციალურ ინტერესებს.

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმის
გენერალური დირექტორი

ნიჟატ ჰუსეინოვ

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმის
ფინანსური დირექტორი

მარეხი გურული

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა **მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა)**

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“-ს მენეჯმენტს

მოსაზრება

მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი - 204540274) (შემდგომში - „კომპანია“) 2017 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და იმავე წლის მმართველობის ანგარიშგების თანხვედნილობის აუდიტი. კომპანიის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. კომპანიის 2017 წლის მმართველობის ანგარიშგება შედგება საქმიანობის მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული 2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხედენილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ სდპ-ს (საზოგადოებრივი დანიშნულების პირი), მაგრამ არ წარმოადგენს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებულ პირს. ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე. ჩვენი პასუხისმგებლობა ისაა, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

მმართველობის ანგარიშგების შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გიორგი ცერცვაძე

გარიგების პარტნიორი

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

28 სექტემბერი, 2018 წელი

6. განვითარების გეგმები

კომპანია წლების განმავლობაში სტაბილურად ვითარდება და აპირებს მომავალში საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებას. არ მიმართავს აგრესიულ პოლიტიკას.

მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც განხორციელდა ეს არის მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღება მესამე პირის წინაშე, რომელიც მიღებულ იქნა 2017 წელს და ძალაში შევიდა 2018 წლის 1 მარტიდან.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პროცესი, რომელიც დაიწყო 2017 წელს - საზღვარზე შემომსვლელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო წესით (MTPL).

აღნიშნული ღონისძიებები ერთის მხრივ განავითარებს ბაზარს, ხოლო მეორეს მხრივ დაიცავს საზოგადოების ქონებრივ და სოციალურ ინტერესებს.

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმის
გენერალური დირექტორი

ნიკატ ჰუსეინოვ

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმის
ფინანსური დირექტორი

მარეხი გურული

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 204540274) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2018 წლის 16 აპრილს:

გენერალური დირექტორი



ნიკიტ კუსეინოვ

ფინანსური დირექტორი



მარეზი გურული



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(1 ლარი)

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	279,351	668,071
თანხები ვადიან საბანკო დეპოზიტებზე	7	3,477,185	3,002,619
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	8	2,184,219	1,809,674
მოთხოვნები გადაზღვევიდან	9	122,291	501,175
მარაგები		40,524	92,047
წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი	10	304,945	304,608
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები	11	33,819	21,482
სხვა მიმდინარე აქტივები	12	480,947	414,157
ძირითადი საშუალებები		179,507	81,294
არამატერიალური აქტივები	13	98,177	41,227
სხვა ინვესტიციები		24,035	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	14	51,431	133,638
აქტივები სულ:		7,276,432	7,069,993
ვალდებულებები			
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი	15	512,050	514,330
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი		174,780	178,661
ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ	16	253,627	1,084,161
გამოუმშავებელი პრემიის რეზერვი	17	2,505,895	2,062,381
მომავალი პერიოდის მოგება გადაზღვევის საკომისიოდან	18	2,508	9,195
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	19	238,014	233,335
ვალდებულებები სულ:		3,686,874	4,082,063
სააქციო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	20	6,048,764	5,315,633
კაპიტალი სულ:		(2,459,207)	(2,327,704)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		3,589,558	2,987,929
		7,276,432	7,069,993


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 16 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი



ნიგატ ჰუსეინოვ

ფინანსური დირექტორი



მარეხი გურული

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 57-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2017	2016
მოზიდული სადაზღვევო პრემია		5,122,337	5,406,368
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(443,514)	145,225
გადაზღვევის ხარჯები		(509,878)	(947,731)
გამომუშავებული ნეტო სადაზღვევო პრემია	21	4,168,945	4,603,863
ზარალის ანაზღაურების ხარჯები	22	(2,513,505)	(3,004,542)
აგენტების და ბროკერის საკომისიო		(334,457)	(425,600)
შემოსავალი გადაზღვევიდან მიღებულ ზარალის ანაზღაურებაზე	23	82,050	104,268
შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან		9,270	165,092
სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან	24	251,964	344,821
გაუფასურების რეზერვის ხარჯი		(117,958)	(202,517)
ცვლილება მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვში		3,881	(60,892)
მოგება/(ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან		1,550,191	1,524,493
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25	(1,861,568)	(1,483,266)
სულ საოპერაციო მოგება:		(311,377)	41,228
საპროცენტო შემოსავალი	26	129,418	94,571
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		30,332	218,454
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	27	102,331	(20,016)
მოგება დაბეგვრამდე		(49,296)	334,237
მოგების გადასახადი	28	82,207	45,177
პერიოდის მოგება/(ზარალი)		(131,503)	289,060
წლის სრული შემოსავალი		(131,503)	289,060


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 16 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი



ნიკატ ჭუსეინოვ

ფინანსური დირექტორი



მარეხი გურული

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 57-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(1 ლარი)

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2017	2016
მიღებული სადაზღვევო პრემია	4,622,724	5,286,713
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(732,358)	(393,432)
გადახდილი ზარალი	(2,423,536)	(2,835,331)
გადაზღვევის მიერ ანაზღაურებული ზარალები	2,947	-
გადაზღვევიდან მისაღები საკომისიო	2,153	2,021
რეგრესი და გადარჩენილი ქონება	137,581	124,523
გადახდილი ბროკერის და აგენტის საკომისიო	(440,778)	(358,970)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(965,825)	(804,602)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(307,377)	(321,291)
გადახდილი ჯარიმები	(15,000)	-
გადახდილი საბანკო ხარჯები	(12,115)	(6,202)
გადახდილი იჯარა	(145,325)	(127,265)
გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება	(93,475)	(39,440)
გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები	(28,222)	(20,764)
გადახდილი საკანცელარიო ხარჯები	(12,280)	(10,781)
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	(17,080)	-
გადახდილი ავანსები	(5,000)	(35,576)
ფულადი სახსრები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	(154,210)	(156,670)
ვადიან საბანკო დეპოზიტებზე თანხების განთავსება	(465,390)	(427,119)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	<u>(1,052,565)</u>	<u>(124,188)</u>
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(138,592)	(4,866)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	19,139	-
ძირითადი არამატერიალური აქტივების შეძენა	(61,000)	(40,805)
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები	118,490	76,496
სხვა ინვესტიციების შეძენა	(24,035)	-
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	<u>(85,998)</u>	<u>30,826</u>
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	733,131	-
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	<u>733,131</u>	<u>-</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/(კლება)	16,713	104,838
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ნაზრდი:	<u>(388,719)</u>	<u>11,476</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	<u>668,071</u>	<u>656,594</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს:	<u>279,351</u>	<u>668,071</u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 16 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ნიკიტა ჰუსეინოვ

მარეხი გურული

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 57-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვი და დაფინანსება	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ
სააქციო კაპიტალი 01.01.2016 მდგომარეობით	4,480,000	-	(2,616,764)	1,863,236
კაპიტალის ემისია	835,633	-	-	835,633
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-	-	289,060	289,060
სააქციო კაპიტალი 01.01.2017 მდგომარეობით	5,315,633	-	(2,327,704)	2,987,929
კაპიტალის ემისია	733,131	-	-	733,131
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-	-	(131,503)	(131,503)
სააქციო კაპიტალი 01.01.2018 მდგომარეობით	6,048,764	-	(2,459,207)	3,589,558

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 16 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი



ნიკატ კუსეინოვ

ფინანსური დირექტორი



მარეხი გურული



თანდართული შენიშვნები მე-11 დან 57-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ სდპ-ს (საზოგადოებრივი დანიშნულების პირი), მაგრამ არ წარმოადგენს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებულ პირს. ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენი პასუხისმგებლობა ისაა, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

მმართველობის ანგარიშგების შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გიორგი ცერცვაძე

გარიგების პარტნიორი

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

28 სექტემბერი, 2018 წელი

